



**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის პატიმრობა პოლიტიკურად
მოტივირებულია,
დაადგინა ევროპულმა სასამართლომ**

გამოქვეყნდა 2017 წლის 28 ნოემბერს

“დიდმა პალატამ გზა გაუკვალა ევროპაში პოლიტიკურად მოტივირებული პატიმრობისა და პასუხისგებაში მიცემის ინდივიდუალურ მსხვერპლთა ძალისხმევას რომ ეფექტურად აღუდგინენ წინ სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. ეს პრეცედენტული გადაწყვეტილება პოლიტიკურად მოტივირებული საქმეებს ახალ ჭრილში წარმოადგენს. 2017 წლის მარტში სასამართლოს სხდომაზე მივუთითებდით, რომ ძალიან ხშირად კონკრეტული პიროვნებისათვის ძნელია იმის პირდაპირი მტკიცება რომ მისი დაპატიმრებისა და პასუხისგებაში მიცემის საფუძველი პოლიტიკურია. დღეს სასამართლომ დაადგინა, რომ ის გულდასმით გამოიკვლევს სახელმწიფოთა ახსნა-განმარტებებს და დასკვნას გამოიტანს არაპირდაპირი მტკიცებულების გათვალისწინებით, როგორც ეს გააკეთა ბატონი მერაბიშვილის საქმის განხილვისას”.

პროფესორი ფილიპ ლიჩი,
ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრის დირექტორი



ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრის ადვოკატები ფილიპ ლიჩი და ჯოან სოიერი დიდი პალატის სხდომაზე, 2017 წლის მარტი.

დღეს ევროპის [ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს დიდი პალატამ](#) დაადგინა, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის გახანგრძლივებული წინასწარი დაკავება სასამართლომდე პოლიტიკურად მოტივირებული იყო და მასზე ზეწოლა იქნა განხორციელებული. მერაბიშვილის ინტერესებს სასამართლოზე წარმოადგენდა [ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრი](#) (EHRAC - [მიდლსექსის უნივერსიტეტი](#), ლონდონი) და ოთარ კახიძე (საქართველო).

რა მოხდა?

ბატონი მერაბიშვილი დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული იქნა 2013 წლის მაისში. 2013 წლის დეკემბერში, ღამის საათებში, ის გაიყვანეს თბილისის ციხის საკნიდან, თავზე რაღაც მოახვიეს რომ არ დაენახა სად მიყავდათ და მანქანით გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ადგილზე მისვლისას ის დაკითხული იქნა საქართველოს მთავარი პროკურორისა და საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მიერ. მათ ბატონ მერაბიშვილს



შესთავაზეს შემდეგი გარიგება: მას უნდა მიეცა ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის შესახებ, ასევე ითხოვდნენ ინფორმაციას თუ როგორ დაილუპა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. ამ ინფორმაციის სანაცვლოდ ისინი პირდებოდნენ ბატონ მერაბიშვილს გათავისუფლებას და აძლევდნენ გარანტიას, რომ შესაძლებლობა მიეცემოდა თავის ოჯახთან ერთად ქვეყანა დაეტოვებინა. მან ამ გარიგებაზე უარი განაცხადა. მას დაემუქრნენ, რომ მისი პატიმრობის პირობები დაუარესდებოდა. ამის შემდეგ მოკლე ხანში ის პასუხისგებაში მიეცა და მიესაჯა ხუთი წლით პატიმრობა.

რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ? მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებები ბატონი მერაბიშვილის მიმართ დასაბუთებული იყო, 2013 წლის დეკემბრის ინციდენტი მიუთითებს, რომ მისი სასამართლომდელი დაკავება გამოყენებული იქნა სხვა მიზნისთვის, რაც მითითებულ მიზეზებში არ იყო ნახსენები. დაირღვა ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი (ECHR). მისი დაკავება გამართლებული არ იყო, და გამოყენებული იქნა მასზე ზეწოლის მოსახდენად, რითაც დაირღვა ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი, რომლის განხილვის საგანი და მიზანია *“ხელისუფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთა”*. გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ დიდმა პალატამ დაიჯერა და მხედველობაში მიიღო ბატონი მერაბიშვილის მონათხრობი იმის შესახებ თუ რა მოხდა 2013 წლის 14 დეკემბრის ღამეს, როცა ის თავისი საკნიდან ძალის გამოყენებით გამოათრიეს. ეს ფაქტი საქართველოს მთავრობის მიერ ცალსახად იქნა უარყოფილი.



ივანე მერაბიშვილი წინასწარი მოსმენის სასამართლოზე (როიჭერის ფოტო).

ხელისუფლების ბოროტად გამოყენების სერიოზული მაგალითია. დღევანდელი გადაწყვეტილება აჩვენებს, რომ სახელმწიფოები პასუხს აგებენ თავიანთ ქმედებებზე.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი

ბატონი მერაბიშვილის საქმე მხოლოდ ერთი მაგალითია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სივრცეში პოლიტიკურად მოტივირებულ მსჯავრდებულთა მზარდი რაოდენობისა (მაგალითად, [იულია ტიმოშჩენკო](#), [იური ლუცენკო](#), [რასულ ჯაფაროვი](#)). ასეთი პრაქტიკა საფუძველშივე არადემოკრატიულია და

რა იქნება ამის შემდეგ?

ევროპული სასამართლოს მიერ პოლიტიკური მოტივაციის არსებობის დადგენილებას იმხელა მნიშვნელობა აქვს, რომ სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან გამოიძიონ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი, საჭიროების შემთხვევაში უნდა დაიწყოს კრიმინალური საქმის ხელახალი გამოძიება და სასჯელი ბათილად იქნას ცნობილი.



გაიგე უფრო მეტი

ეს არის [ევროპული სასამართლოს](#) მეორე დადგენილება ამ საქმის შესახებ. ბატონმა მერაბიშვილმა პირველი მოსმენისას საქმე მოიგო. საწყისი [პრეცედენტული გადაწყვეტილებისა](#) და [მისი გავლენის](#) შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენი ადრეული ინფორმაცია ამ საქმის შესახებ.

როგორ გაამართლა საქართველოს ხელისუფლებამ თავისი ქმედებები? ნახეთ [ევროპული სასამართლოს დიდი პალატის სხდომა](#) (2017 წლის მარტი) და [წაიკითხეთ მათი არგუმენტები](#).

დამატებითი ინფორმაციისათვის ნახეთ ასევე “საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის” მიერ გამოქვეყნებული ანგარიში სათაურით [“პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში”](#), სადაც წარმოდგენილია ბატონი [მერაბიშვილის საქმის დეტალური ანალიზი](#).

პოლიტიკურად მოტივირებული პროცედურები ასევე სისტემატური პრობლემას აზერბაიჯანსა და რუსეთში, განსაკუთრებით [ადამიანთა უფლებების დამცველი ადვოკატების](#), [დამცველებისა](#) და [მედია საშუალებების](#) მიმართ. ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრი ასევე წარმოადგენს [რასულ ჯაფაროვს](#), რომლის დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა 2016 წლის მარტში დადგინდა როგორც პოლიტიკურად მოტივირებული. ევროპული კომისიის საბჭომ [ამ რამდენიმე ხნის წინათ მოუწოდა აზერბაიჯანის მთავრობას ხელახლა გამოიძიოს მისი საქმე](#), რომელიც “პოლიტიკური დევნის” შედეგია.